

შეგზონ

6
1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს აღარ უნდა
განმეორდეს!

„...თაროზე ელ აგა ათასი ჯურის ხელით ნაკეთი ჩაის საკრეჭი თუ საგლე-
ჯი იარაღები. უსინდისოა ყველა, ვინც ამ იარაღს აკეთებს და ხმარობს და ამგვარ
ნედლეულს აჩეჩებს მრეწველობას“.

თამარ ჭუჭუნია, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი.



პიკანტი

წინაპრთ უთქვამთ: „კარგის მთქმელს კარგი გააგონე სჭირდება!“
ამიტომ ჩემი მიმართება წერაჲს გაუპირობება!

ავთანდილმა ასმათს ტარიელზე ერთი სიტყვაც ვერ დაა-
დენინა. სიკვდილითაც დაემუქრა, მაგრამ ასმათმა შეფარული და-
კინვით უთხრა: თუ მომკლავ, ვისგანა გინდა, გაიგო სასურველი
მზავიო? შემდეგ შერიგდნენ და ასმათმა უთხრა ავთანდილს:

„ან რაცა გითხრა, თუ ამა საქმესა დამოორჩილდები,
რასაცა ეძებ, მიხვდები, უცილოდ არ ასცილდები;
თუ არ მომისმენ, ვერ პოვებ, რაზომცა ცრემლსა შმილდები,
მოგხვდების მდურვა სოფლისა, მოჰყვდები, გა-ცა-სნბილდები“.
ავთანდილმა შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა და ასმათის წელან-
დელ ენაკვიმატობაზე („...თუ არ მომკლავ, არ მოგვცდები, მრთელი
ვარ და მოუკლავი... კვლა თუ მომკლავ, სასაუბროდ აღარ მედგას
ზედა თავი“-ო) ანეკდოტითვე უპასუხა:

ყმაამა უთხრა: „ეგე საქმე ამას ჰგავსო, არა სხვასა:
ორნი კაცნი მოდიოდეს სადაურნი სადმე გზასა,
უკანამან წინა ნახა ჩავარდნილი შიგან ჭასა,
ზედ მიადგა, ჩაჰყიოდა, ტირს, იზახის ვაგლახ-ვასა,
„ეგრე უთხრა: „ამხანაგო, იყავ მანდა, მომიცდიდე,
წავალ თოკთა მოსახმელად, მწადსო, თუმცა ამოგზიდე“;
მას ქვეშეთსა გაეცინნეს, გაუკვირდა მეტად კიდე,
შემოჰყილა: „არ გელოდე, სად გაგეცე, სად წავიდე?“

ეს, არც მეტი, არც ნაკლები, რვა საუკუნის წინანდელი, რუსთ-
ველისდროინდელი ანეკდოტია. მთავარი კი ის არის, რომ დიდმა
რუსთველმა იცოდა ანეკდოტის ფასი. ახლა ანეკდოტი ერთგვარად
სახელგაუთქვამი ფანია (რამაც უდავოდ ანეკდოტთა ერთი წილის
უცნაურობაცაა დამნაშავე), მაგრამ იგი ხალხური შემოქმედებაა,
ხალხის აზროვნების, ხალხის ადამ-ჩვევებისა და ფსიქოლოგიის
უკუფენაა და, ამდენად, ძალიან ფასეულიც გახლავთ. ქართულ
წიაღებზე, ქართულ სინამდვილეში ათასობით ანეკდოტი შექმნი-
ლა, მაგრამ მათ ერთი და ორი კაცი ვერ გაიგონეს, ვერ დაიხსო-
მებს და ვერ გაიხსენეს, ანეკდოტი გარკვეულ სიტუაციაში ამო-
ტივტივდება ხოლმე.

ახლა, მაგალითად, რუსთველისეულმა ანეკდოტმა, სადაც ორ-
მოზეა საუბარი, ორი ანეკდოტი გამახსენა:

რაჭველი ღრმა ორმოში ჩავარდა. უკაცრიელი ადგილი თუ იყო,
რადგან ვერც ვერავის ხმა მიანდინა და, მიუხედავად დიდი ძა-
ლისხმევისა, ვერც ამოვიდა. დაქანცული ჩაჯდა ორმოს ფსკერზე
და თქვა: „ერთხელ კიდე ვცდი და, თუ მაინც ვერ ავედი, ავდგა-
ბი და შინ წავალ“.

რაჭველებმა ორმო ამოთხარეს. ამ ამონათხარ მიწას რა ვუყო-
თ? — იკითხა ერთმა. — უფრო დიდი ორმო ამოვთხაროთ და
შიგ ჩავყაროთო! — უპასუხა ამხანაგმა.

უგურულებოდ ქართულ იუმორს მაღლი დააკლდება:
რაიკომის მდივანი, სოფლის თავკაცთან ერთად, სოფელს ათვა-
ლიერებს, უცებ ხალხს ჭარმაგი გლეხი გამოეყო:

— ამხანაგო მდივანო! ხიდი წელიწადი წყალმა და გაგვიკეთოთ,
იქნებ!

— მე რატომ მომმართათ?! აგერ არ არის სოფლის თავი?!
— თავი ლურსმანსაც კი აქვს, მარა, ჩაქუჩი თუ არ დაარტყი,
კი არ წავა!

— არ ჩანხარ, ბიჭო, ოტია, კაი ხანია!

— ვეროპის გარშემო ვიმოგზაურე, ელპიტე დეიდა!

— გარშემო რეიზა, წენა, შით არ უშობენ?!

რაჭველები და გურულები რომ არ გამინანყენდნენ, ერთს ხე-

სურებუდაც მოგახსენებთ: ხევსურს საზამთრო არ ენახა. — რა
არისო? — იკითხა. — ჯორის კვერცხიო, — უპასუხეს.

მოგხსენებთ, ხევსურეთი მთაგორიანი და უტრანსპორტო ად-
გილი გახლდათ და საბარგე პირუტყვს დიდი ფასი ედო. განსაკუ-
თრებით ძვირი (6-7 ძროხა) ღირდა ჯორი.

ჰოდა, ასეთი მარჩენალი ჯორი ჰყოლია დაკარგული იმ ღულელ
ხევსურს (ღული ხევსურეთის მოსხისა) და, რაკი ასე იაფად ჯორის
კვერცხი იშოვა, დიდად გახარებულს წაუღია ხევსურეთში.

იქ ერდ დაღმართზე დაჰგორებია „ჯორის კვერცხი“ და ბუჩქს
შესკდომია. ბუჩქიდან (ხევსურისთვის — „კვერცხიდან“) კურდღე-
ლი გამოვარდნილა. შარშან ჯორის დამკარგავი ხევსური დასდევ-
ნებია კურდღელს ყვირლით: „ჩოჩი, ჩოჩი ჯორიკაო, შარშან დი-
დო, წელს პატარიკაო“.

ერთიც კახელებზე ვთქვით: გიგა და მისი ცოლი „მიდიოდნენ
სადაურნი სადმე გზასა“. ვილაც უცხოელი შემოხვდათ. უცხოელმა
რუსულად ჰკითხა გიგას რაღაცა. გიგამ რუსული არ იცოდა. უც-
ხოელი ინგლისურზე გადავიდა. გიგამ არც ინგლისური იცოდა.

უცხოელმა ფრანგული და გერმანულიც მოიშველია, მაგრამ მაინც
არაფერი ეშველა. განშორების შემდეგ ცოლმა უსაყვედურა გი-
გას: „ხო გეუბნებოდი, გიგავ, რუსული მაინც ისწავლე-მეთქი. რო-
გორი სირცხვილი ეჭამეთ! შენ ერთი ენაც არ იცი, იმან კი ოთხი
ენა იცოდა!“. „გამაადაგა რო?“ — მოკლედ მოსჭრა გიგამ.

მეგრელმა რაღა დააშავაო?

ის, რომ მეზორნე მეგრელს მგზავრმა სთხოვა, გაღმა გამიყვა-
ნო. ოღონდ ფული არა მაქვსო, — მორცხვად დაუმატა მგზავრმა.
ვერაო — მეზორნემ. რაღაო? — მგზავრმა. უფულოდ თუნდა გაღმა
ყოფილხარ და თუნდა გამოღმაო, — მიუგო მეზორნე მეგრელმა.

ეს ანეკდოტები, როგორც იტყვიან, „წვერებიანი ანეკდოტებია“
და, თუ ვისმე ღიმილს მოჰგვრის, ეს, ალბათ, ჩემდამი მომართუ-
ლი ღიმილი იქნება. მაგრამ, დამერწმუნეთ, ამას ვინმეს გასა-
ცინებლად არ ვყვები.

განზრახული მაქვს, თავი მოვუყარო ქართულ ოხუნჯობებს და
ცალკე წიგნად გამოვეცე.

მასალა მაქვს, მაგრამ სასურველია მეტის მოპოვება. საჭიროა,
ქართული კაცის მიერ ნათქვამი გონებაშეცვლილ სიტყვა არ და-
ვკარგოთ და შთამომავლობას გადავცეთ. ამიტომ ვთხოვ ყველას.
ვისაც მომადლებული აქვს იუმორის გრძნობა და სხვათა იუმორ-
საც პატივს სცემს, ნუ დაიზარებს და ფოსტით გამომიგზავნოს თა-
ვისი რეპერტუარის ანეკდოტები, როგორც უნდა იყოს ის. გვარ-
სახელი, თუ გნებავთ, მოაწერეთ, თუ არ გსურთ, ნუ მოაწერთ.

ვიცი, არის ოჯახები, სადაც ხელნაწერი ანეკდოტებიც ინახება
(ზოგი მათგანი პაპების ჩანერილია). ასეთი ჩანაწერების პატრო-
ნები ნუ დაიზარებენ, ამომინერონ იქიდან და გამომიგზავნონ ერ-
თი ნაწილი მაინც. შემკრებლები, ვინც გვარ-სახელს და მისამარ-
თსაც შემატყობინებს, მოხსენიებულნი იქნებიან წიგნში.

ანეკდოტი ხუმრობაა და მეც ძალიან მიყვარს ხუმრობა, მაგ-
რამ, დამერწმუნეთ, ამჯერად არაფერი მეხუმრება და თქვენც
გთხოვთ, ხუმრობის გარეშე მიხედოთ ამ საშვილიშვილო საქმეს!

მისამართი, ვინც მე მკითხულობს, ყველას ხელთა აქვს, ვინც
არა, ის ვერც ამ ჩემს მიმართვას წაიკითხავს!..

წინა გვი




ბასტრონი



— რა ამბავია, ბიძა, ამდენი მარილი და ასან-
თი რომ გიყიდია?!

— რაჲ, რით ვარ მე ჩემს მეზობლებზე ნაკ-
ლები?!

ნახ. ი. შინაშვილისა



უსიტყვოდ

საქორაუ-იხორაუ


მადლობა

...და ეს დღეც დადგა: ჭალარა კაცმა
ბოლოს დატოვა ქარხანა, სადაც,
მის ძლიერ ხელში, რკინაც კი გაცვდა,
სადაც ცხოვრების ნაკითხვა სცადა!
ნავიდა — მხრებში ოდნავ მოხრილი —
(სამოცმა წელმა რა არ ანახვია!)
პატიოსანი და ვალმოხდილი —
უკანასკნელად გაცვდა ალაყაფს!..
აქ დავაუკაცდა! ის აქ ამალდა!
აქ შეიმოსა თეთრი ფანტელით,
ამიტომ მიდის ასე ამაყად —
შეურცხვენელი და პირნათელი!
მიდის და მიაქვს ხსოვნა გულისა, —
ის წლები წარსულს როდი ჩაბარდა!
მიდის და, თითქმის საუკუნის კაცს,
მიჰყვება მზერა ნამონაფართა!
თან მიაქვს მტვერი გუგუნა ქარხნის
და ბევრი, ბევრი მაღალი ჯილდო!
ჩვეულებრივად მიმავალს ხალხში,
მცირე ტკივილიც მიჰყვება თითქოს!..
ო, ამ ტკივილის არ იყო ღირსი! —
რკინის გულს უცხო ჯავრი აღნობდა! —
„ჩემი ბრალია! ჩემი თუ სხვისი?!“
რად დაენანათ ერთი მადლობა?!“
არა, არაფერს ითხოვდა იგი,
გზად მიმავალი ერთსღა ნატრობდა:
„როდესაც სხვათა დადგება რიგი,
არ დაავინყდეთ, უთხრან მადლობა!“

ხეკაცნი

ის დგას ქუჩაში და მზეზე თბება, —
ფართო მხრებით და ხუჭუჭა თმებით, —
თეთრი პერანგით, შავი შალსტუხით,
განთქმული დინჯი სიტყვა-პასუხით.
„უცოდველია“, ვით თოთო ბავშვი,
არ დარჩენილა არასდროს ვალში,
ქვეყნად მწერისაც არ ადევს ცოდვა
და ღმერთკაცამდე უკლია ცოტა!..
ის დგას ქუჩაში და მზეზე თბება,
კეთილი სახით, ხუჭუჭა თმებით.
იქვე, ასფალტზე, ვიშვიშებს ბარტყი,
ხეზე კი დედა ჟიჟივებს სანყლის!..
კატა გამოჩნდა, თვალებს აცეცებს, —
ბარტყის ხმა ესმა, ალბათ, მტაცებელს!
ცოტაც და — სწვდება ბასრი კლანჭებით!..
გასაგებია სხვა დანარჩენი!..
ის დგას სულ ახლოს და მზეზე თბება
„კეთილი“ გულით, ხუჭუჭა თმებით.
„უშველე ორად ორი ნაბიჯით!“ —
ყვირის მაღლიდან პატარა ბიჭი, —
„გული არა გაქვს?! უშველე სანყალს,
ან კატას მაინც უყვირე: „აცხა!“
თქვენც არ მომიკვდეთ! ხესავით იდგა,
არც განძრეულა, არც უთქვამს სიტყვა!
...მაძლარმა კატამ უკან მოკურცხლა,
კაცმა მარცხენა წარბი აზიდა,
დაეცა ბიჭის წყვილი კურცხალი
და კაცს ეგონა, ისევ აწვიმდა!..

ალექსანდრე ტაბატაძე



● მოხსენილ კაცს წამოსცდა: ყველაზე მეტად
შურამა დამავეითაო.
● სხვას წარმატებებს ულიცვდა და
ჩიოდა გულზე ხედებოდა.
● მიაშალა თქვა — მე ყველა შვილს უშურ
ლად ვასარგებებ და მივივრს, ზოგიერთში შური
დან ბიუღებსო!
● შურამა და ბორცოებმა ერთმანეთს შეაუღ
ბეს მშავაკები არა ვერბოთი.


— კი მაგრამ, რით დაგვხმაროთ?!

ბილკუბი ზეშევაპაპუნი

პის სხენებაზე გულისრევა შემართება!
გამოსი ჩვენივე, თუენი წანდგრძევი რომელიმე საველე
მოქმედი საკენო მოახლოეთ!
თანამა ვარ, თუენი ჰყენ ქუჩაზე ასფალტს დათავებენ
ჩენი მომავალი თაობა აშით მარცხ გამოცდის სარგებში!
თუენი ქუჩის სიგრძე დაბალეოებით რამდენი მეტრი იქ
ნება? შეიძება დაბლევების ინსპექტორმა.
3777. 5 მეტრი!

— ვისთვისაა ეს განცხადება?!

ფირუზ უტიანოვილი
(გურჯაანის რ-ნი)



„რა, გაგიჟდი?“
(პირველი მაისის რაიკვებავარობის № 1 უნივერსიტეტი)
№ 3 ფილიალი)
— ყველი არ გაქვთ? — მყიდველი პასუხს დიდ

გაიოზ შავერზაშვილი,
ნიანას" ჟურნალის რედაქტორი

ავთანდილ ადუჩავილი

ბაბუში საკალმასოდ ჩასული ნიანგი, ავტობადგურთან, ერთ კაცს გადაეყარა, რომელიც ცარიელი სურკინით ლამისყინიდან ხოვლეს მილიოდა პურის საყიდლად.

— როგორ, კაცი?! ორმოც კილომეტრს იქით მიდიხარ პურისთვისა?
— ეჰ, შენ რომ ჩვენი ამბავი იცოდეს!.. — ამოიხრა კაცმა და, ავტობუსის მოსვლამდე, აი, რის თქმა მოასწრო:

1978 წელს კასპის პურის საცხობის ძველი შენობა უღვიარი პურივით დაიზარა-დაიფხვალა!.. სეისმოლოგიის ინსტიტუტიდან მოსულმა სწავლულმა კაცებმა თქვეს, პურის ცხობა უნდა შეჩერდეს, და შეჩერდა კიდეც!.. იმ წელს მხოლოდ დოკუმენტაციის შედგენა მოხერხდა, აღდგენითი სამუშაოები კი 1979 წლის დეკემბერში დაიწყო!.. დაიწყო და ახლაც გრძელდება!.. აშუამალ უკვე აგებულია აღმინისტრაციული შენობის საექსპედიციო მხარე და ორთქლის მწარმოებელი განყოფილება, მაგრამ მხოლოდ ახლა შეუდგენენ ელექტროგაყვანილობის მონტაჟს!.. ჯერ არსად ჩანს კიბე, სანიტარიული კვანძები!.. აპირებენ, მაგრამ არაფერს იცის, როდის შეუდგებიან საურდენო სვეტების გამაგრებას ლითონკონსტრუქციებით!.. დასასრული არ უჩანს ფქვილის მიღების უტარო მეურნეობის მოსაწყობ სამუშაოებს!.. არ დამონტაჟებულა ორთქლის ქვაბი!.. გაურკვეველი დროით შეჩერდა პურის საცხობი ლუმენების რეკონსტრუქცია!..

უველაფერი დაწყებულია, დამთავრებული კი — არაფერია! მემონტაჟები მშენებლებს აბრალებენ, რომელიმე უბანს არ ამთავრებენ, რომ მერე ჩვენ შევუდგეთ მუშაობას! მშენებლები კი, პირიქით, მათკენ იშვერენ ხელს ისეთი მდგომარეობა შექმნილი, როცა მარჯვენა არ იცის, რას აკეთებს მარცხენა და, პირიქით! ორივე ხელი კი ერთ თავს ემორჩილება — ციკავშირის სამშენებლო ტრესტს! მშენებელია ლილოს მოძრა-მექანზე-ბული კოლონა, მემონტაჟე კი — იმავე ტრესტის სამონტაჟო სამმართველო!..

ცოლის დამგუნდავებლები ქსნის ბაზაში ყრია, ორთქლის ქვაბის სექციები კი აქვე, ღია ციხეზე, იფანგება!.. დარაჯი არა ჰყავთ არც ქარხანას და არც მშენებლებს!.. არის დეფიციტური კვანძებისა და დეტალების დატაცების ფაქტები!.. ერთმა მეომბლემ აჯობა ას მეჭურჭლესო, ნათქვამია და აკი სჯობის კიდეც!.. კასპის რაიკოპერატივის პურკომბინატის კასპის ქარხნის მშენებლობის ტემპი იმის გარანტიას გვაძლევს, რომ ქალაქის მშრომლები კიდეც დიდხანს ვერ იყნოსავენ თბილის პურის სუნს!..

მანამდე კი ისეთი მდგომარეობაა, როგორც ზღაპარში: ძროხა რომ ჭერში აჰყავდათ, რადგან დასაკლავი ხანაღლი იქ ეკიდა!.. უველაზე შორეულ სოფელ ხოვლესში, იმ ზონის პურის ქარხანაში ეზიდებოდა ფქვილს, იქ აცხობენ, მერე, ვისაც როგორ შეუძლია, ისე ეზიდება პურს, ცივს ვინღა ჩივის, მთლად დაძველებულს, რადგან ამ მანძილიდან პურის გადაზიდვას დარგობრივი გაერთიანების მანქანები ვერ აუღიანს!..

ელგუჯა მერაბიშვილი,
მარიპა გველსიანი.



ნ.ბ. მ. პაპაშვილისა

ბოლო ლექციაზე პროფესორმა ახალ-თემაზე საუბარი დაამთავრა და დროც ამოიწურა. დაიწყო ერთი წუთით! — თქვა და ჯგუფს გადახედა. მერე წინ, მეორე მერხზე მჯდომ სტუდენტს მიმართა:

— რა გაცინებდათ, ყმანვილო, მთელი ლექციის განმავლობაში?

სტუდენტმა მორცხვად ჩაღუნა თავი.

— აბრძანდით და ბრძანეთ, ყმანვილო!

მის უკან მჯდომ სტუდენტს ჩაეცინა, მეორესაც...

— მარტო მე ხომ არ ვიცინოდით?! — ჩაიდუღუნა და მიმოიხედა.

— მერე?! გუგუშვილს ეპატიება, ასე ვთქვათ, აქვს უფლება, გაიცინოს, კეთილადესაც... — ლექტორი ნამით დადუმდა, ჯგუფს კვლავ გადახედა, — ნიკოსაც... რა გვარი ხარ, გოგონა, შენ?

— იაშვილი!

— იაშვილსაც!

— მეც, არა, პატივცემულო ლექტორო?! — წამოი-
ძახა ჩასუქებულმა, წითურმა სტუდენტმა.

— შეენ? შენ ტვინი რომ გქონდეს, უნდა ტიროდე! გარიცხვის კანდიდატი ხარ!..

— გამოდის, რომ სიცილსაც... — ისევ ჩაილულულ-
ლა დამნაშავემ.

— დიახ, გამოდის კი არა, ასე არის: სიცილის უფ-
ლება ყველას არ უნდა ჰქონდეს!.. ისიც, გააჩნია, რო-
დის და რა შემთხვევაში!.. რა გქვია შენ?

— ჯუზე, პატივცემულო ლექტორო!

— ჯუზე რა სახელია?! ასე გინერია პასპორტში?

— არა, ჯუზეპე!

— ჰმ, ჯუზეპე! აფსუს!.. იცი, ყმანვილო, ვინ იყო
ჯუზეპე?

— რავა არ ვიცი, იყო კი არა, ვარ, პატივცემულო
ლექტორო!

— შენ, ხომ?! ჰმ! მე გეკითხები დიდ ჯუზეპეზე, ყმა-
ნვილო!

— ამსიმაღლე კაცი პატარად გეჩვენებით, პატივცე-
მულო ლექტორო?

სტუდენტებმა ერთხმად გადაიხარხარეს.

— ტვინი გაქვს პატარა, ტვინი! მე გეკითხები გენია-
ლურ ჯუზეპეზე!..

— ვერდი, შე შტერო, ვერდი! — წამოეშველა ვილა-
ცა ჯუზეს.

— გარიბალდი, ბიჭო, გარიბალდი! — ისმოდა მეო-
რი მხრიდან.

— არ ვიცი მე მასეთები! აგრონომები იყვნენ?

— ვინო?!

— ა, უყურეთ ახლა ამას! ჯუზეპე ვერდი, ყმანვილო,
დიდი კომპოზიტორი იყო, ხოლო გარიბალდი იტალი-
ის ეროვნული გმირი! აი, როგორ ადამიანებს ერქვათ
ჯუზეპე!

— უნიჭო ვარ მე, პატივცემულო ლექტორო, მუსი-
კასა და ისტორიაში!

— აბა, რაში ჩანს, ყმანვილო, შენი ნიჭი?! ქიმიაში,
ბიოლოგიაში თუ პოლიტეკონომიაში?

ჯუზე სდუმს.

— ორშაბათამდე, ყმანვილებო! — თქვა ბოლოს ლე-
ქტორმა და ოთახიდან გავიდა.

ჯუზეპე გვერდით გაჰყვა.

— შინ მიბრძანდებით, პატივცემულო პროფესორო?
— მერე?

— ვიცი, შორს ცხოვრობთ, აგერ მიყენია მანქანა
და... მიგიყვანთ!..

პროფესორმა ირონიულად ჩაიცინა.

— რა მანქანა აქვს, ყმანვილო, მამაშენს?


— მამაჩემს — „ვოლგა“! მე კი — „ჟიგული“!

— შენ ცალკე ცხოვრობ? ცოლ-შვილი გყავს?

— არა!

— ჰოდა, ბოდიში, ჩემო ჯუზეპე! ისე კი, თუმცა რა-
ტომაც არ უნდა იცინო ლექციებზე? იცინე, ჯუზეპე,
იცინე ლექციებზეც, შინაც, გარეთაც!.. იცინე და იცი-
ნე!..


გენო კონჯარია



მეგობრული შარები ბ. ფირცხალაშვილი

60 წლის ნოზარ ჰოჩიძის

ქართული კალათბურთის ხარ
ულამაზესი ლეგენდა!..
შენ—დიდ შვილს დიდი მამისა—
ვაგლახად ვერვინ შეგბედავს!..
დღეს შენი ბიჭი აგრძელებს
შენს უსაყვარლეს თამაშს! —
ის ურჩევნია კალათსაც,
რომ შვილი გჯობდეს მამასა!..
მალალო, დინჯო, ჯენტლმენო,
მნიგნობარო და მოღვაწე, —
მინდა, ავხტე და გაკოცო
მაგ უბერებელ ლოყაზე!..




50 წლის ათანადი ჭკუასაძის

ავთანდილ გადინადირა
ტრიუმფით სტადიონები!..
ბურთს ბუცით ბოლი ადინა,
ათავისუფლა გოლები!
ახლა ერთ-ერთი თავკაცი
გახლავთ ქართული ფეხბურთის
და ესპანეთის საგზური
ულაპარაკოდ ეკუთვნის!

601660

სახ. ჯ. ლოლუასი



— აჰი ავგოზდენ ამ ლექტორზე, სიტყვის-
თვის ჯიჯაში ხელს არ ჩაიყოფსო?!

ნიანგს უკასუხებენ

სახალხო დეპუტატთა დუშეთის რაიონის აღმასკომი:
უურნალ „ნიანგის“ გასული წლის მე-15-მე-16 ნომერში დაბეჭდილ მასალაში — „ნიანგი დუშეთში“ — აღნიშნული კრიტიკული შენიშვნები სინამდვილეს შეეფერება. უინგალის პიდროტენიკური კომპლექსის მშენებლობის მუშათა მომარაგების გან-
ყოფილებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის პარტიის დუშეთის რაი-
კომის ბიურომ განყოფილების უფროსი ლ. კარიაული გადააყენა თანამდებობიდან;
1981 წლის ბოლოსათვის დამთავრდა რაიონული საავადმყოფოს სარემონტო სა-
მუშაოები;
რაიონი კვლავ განიცდის ექიმთა კადრების ნაკლებობას, რაც უახლოეს წლებში
გამოსწორდება. 1981 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული
7 ექიმი განაწილებული დუშეთის რაიონში;
რაიკომპკავშირის უნივერსალის კაპიტალური რემონტის მიმდინარეობის საკითხი
განიხილა სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა. სარემონტო სამუშაოების
მიმდინარეობაზე სუსტი კონტროლისათვის რაიკომპკავშირის უფროსი ინჟინერ გ. ვერ-
ძელს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, სამუშაოდან გათავისუფლდა სამუშაოთა
მწარმოებელი გ. ჩარგვიშვილი. უნივერსალის კაპიტალური შეკეთება დამთავრდა;
ბაზალეთის კოლმეურნეობაში ნივრის წარმოების საქმეში დაშვებული დარღვე-
ვებისათვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. ბუდულაშვილი საქართველოს სსრ სო-
ფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ გათავისუფლა დაკავებული თანამდებო-
ბიდან.
დუშეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი, საქართველოს
კპ დუშეთის რაიონულ კომიტეტთან ერთად, თანამდევრულ ღონისძიებებს ახორცი-
ელებს რაიონის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, მუშაო-
ბის ამა თუ იმ სფეროში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.
საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო:
„ნიანგის“ გასული წლის მე-17 ნომერში სათაურით — „პრაქტიკული ნაბიჯი პე-
დაგოგიაში“ („ნიანგი ქარელში“) დაბეჭდილი კრიტიკული შენიშვნები სოფლებში —
კეხიჯვარსა და დვანში სკოლების მშენებლობის გაჭიანურების შესახებ, სინამდვილეა.
კეხიჯვარის სკოლა საექსპლუატაციოდ გადაეცა 1981 სასწავლო წლისათვის, დარ-
ჩენილი კეთილმოწყობის სამუშაოები შესრულდება 1982 წლის გაზაფხულზე. სასადი-
ლოს მოწყობილობისა და ვენტელატორის მონტაჟის სამუშაოები გაჭიანურდა იმი-
ტომ, რომ დამკვეთმა დროზე არ გადასცა სამშენებლო ტრესტს საჭირო მასალა.
სოფელ დვანის სკოლის შენობა ჩაბარდება 1982 წლისათვის, როგორც საიჯარო
სამუშაოთა გეგმითაა გათვალისწინებული.
ქარელის რაიონის მთავარი ექიმი გ. ყაჭიური:
ქარელის რაიონის სამედიცინო საბჭოს სხდომაზე განიხილა „ნიანგის“ მე-17 ნომე-
რში დაბეჭდილი წერილი — „აქა ამბავი ავადმყოფი მკვდარი სულებისა“ („ნიანგი ქა-
რელში“), რომელიც სოფელ რუისის საუბო საავადმყოფოში ავადმყოფთა რიცხვის
ხელოვნურად გაზრდის ფაქტს შეეხებო.
განხილვისას დადგინდა რამდენიმე ორგანიზაციული ღონისძიება:
უფროს ფერშალს ბალიაშვილს, რომელმაც დროულად არ წარადგინა დილის გა-
ბაცხადი ავადმყოფთა რაოდენობაზე, გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი
გაფრთხილებით; საყვედური გამოეცხადა მორიგე ექთანს მ. ახალკაცს.
მთავარი ექიმის მოადგილეს სამეურნეო-ადმინისტრაციულ დარგში, ა. მეშენა-
რაშვილს, რომელიც ამავე დროს ასრულებდა მეკუჭავის მოვალეობას, გამოეცხადა
სასტიკი საყვედური.
მთავარი ექიმი ნ. ჩიმაკაძე გათავისუფლდა სამუშაოდან თავისი განცხადებით.
სამედიცინო საბჭომ, იმის გამო, რომ რუისის საავადმყოფო თავისი მაღალ ალურ-
ტენიკური ბაზითა და აღჭურვილობით მინიმალურადაც კი ვერ უზრუნველყოფდა სტა-
ციონარისადმი წაყენებულ მოთხოვნებს (არ არის წყალი, ცენტრალური გათბობა, სან-
გამტარი, რის გამოც უხეშად ირღვევა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები). მიზანშეწო-
ნილად ჩათვალა რუისის საოჯახო საავადმყოფოს გამსხვილებული ტიპის სოფლის ამ-
ბულატორიად რეორგანიზება.

1983 წლისათვის თეთრ სახლს განზრახული აქვს, 263 მილიარდი დოლარი დაგეგმოს სამხედრო ხარჯებისათვის. ამ თანხამ პირნავარდნილი „ქორების“ კრიტიკაც კი გამოიწვია.

გაზეთებიდან



სატირული ჟურნალი „ნიანგი“
№ 6 (1616) მარტი
გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო
კოლეგია:
გაბუნა ამირეჯიბი,
ნოზა ბარათია,
გორის გურგულია,
ნოდარ ღუშაძე,
რევაზ თვაჩაძე,
ჯემალ ლოლუა,
ნოდარ მაღაშვინი
(შეატვარი-რედაქტორი),
ალექსანდრე საგსონი,
ხმელან სიხარულიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
გიგლა ფირცხალაშვილი,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
თამაზ წიგნაძე,
ვაჟა ჯანიშვილი
(მთავარი რედ. მოადგილე),
ნაფი ჯუსოთი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადამცემი სააქტობა
22. 2. 82 წ
ხელმოწერილია დასაბუთად
30. 3. 82 წ.
ქალაქის ჯოგა 70x100
ფიზიკური ნაბეჭდი
ფურცელი 1
საბარისცხვო-საბარისცხვო
თაბახი 1.7
საქართველოს კ. ც. კ. ს.
გამომცემლობა
ლენინის ქ. №14,
შეკვეთა № 523 უფ. 06175
ტირაჟი 148.950.
ქუჩის გზის
თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი:
380008, თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი, № 42.
ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54, მთ.
რედ. მოადგილის — 93-19-42,
პ/მ მდივნის — 93-10-78, მხ-
ტვარი-რედაქტორის — 99-02-38,
განყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშავე-
ბის — 99-02-38, მდივანი-მეგან-
ჯანის — 99-76-69.

სატირიკო-იუმორისტული
ჟურნალი „ნიანგი“
(на грузинском языке)
თბილისი, პრ. რუსთაველი № 42.
Издательство ЦК КП Грузии
Типография Издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.

ფასი 20 კაპიტი
ინდექსი 76137



მარსი: რაგ შეგაშინათ, ქაგო?! მოდით, მხარში ამოვიღაქით!